დანართი №1
2019 წლის 8 მაისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ.№63-19 ხელშეკრულებაზე (NAT190003956)

ქ. თბილისი 29.05.2019წ.

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, **ალექსანდრე თევდორაძის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, **შპს „ცეკური“**, წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის, **ბექა ხაბულიანის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის - აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვის სამსახურის 2019 წლის 24 მაისის №5632-2 მოხსენებითი ბარათის და 2019 წლის 8 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ.№63-19 ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-18 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის 2019 წლის 8 მაისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ.№63-19 ხელშეკრულებას (შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-15) ქუთაისი (წყალტუბოს გადასახვევი)-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის კმ 125+000 - კმ 137+330 მოანკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები) (შემდგომში - ხელშეკრულება) დაემატოს სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი თანდართული რედაქციით.
2. წინამდებარე დანართზე თანდართული, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი (იხ. დანართი) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოები აწარმოოს აღნიშნული გეგმა-გრაფიკის მიხედვით. გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.
3. წინამდებარე დანართი მასზე თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.
4. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.
5. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის.

Roads Department of Georgia
Digitally signed by Roads Department of Georgia
Date: 2019.05.31 17:17:18 +04'00'

შემსყიდველი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე თევდორაძე	მიმწოდებელი შპს „ცეკური“ აღმასრულებელი დირექტორი ბექა ხაბულიანი

LTD TSEKURI
Digitally signed by LTD TSEKURI
Date: 2019.05.31 12:08:10 +04'00'